

## სოციალური ინოვაციების პლატფორმა SIP

სოციალური ინოვაციების პლატფორმა (SIP) კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) ინიციატივაა, რომლის მიზანია სოციალური პრობლემების საპასუხოდ ინოვაციური იდეების მხარდაჭერა და წახალისება.



2023-2026 წლებში პლატფორმის ბაზაზე შვეიცარიული სააგენტოს ჰეკს/ეპერ სამხრეთ კავკასიის მხარდაჭერით განხორციელდება სოციალური ინოვაციებისა და მეწარმეობის განვითარებაზე მიმართული პროექტი.

პროექტი ითვალისწინებს სოციალური ინოვაციებისა და მეწარმეობის აქსელერაციის პროგრამის ამოქმედებას. აქსელერაციის პროგრამაში მონაწილეთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის მეშვეობით.

სოციალური ინოვაციების პლატფორმის აქსელერატორი ღიაა ყველასთვის, ვისაც სურვილი აქვს იმუშაოს სოციალური პრობლემების გადაჭრის მიმართულებით და აქვს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ინოვაციური იდეა. კონკურსში შესაძლებელია ჩაერთოს, როგორც ინდივიდი, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

აქსელერატორის ფარგლებში იგეგმება 60 - მდე მონაწილის გადამზადება-მენტორობა და 10 პროექტის ფინანსური მხარდაჭერა.



აქსელერატორის პროგრამაში პირველი მიღება განხორციელდება 2023 წელს, ხოლო მეორე კონკურსი გამოცხადდება 2024 წელს.

აქსელერატორში ჩართულ მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა გაიარონ შესაბამისი მომზადება, განავითარონ საწყისი იდეები თუ პროტოტიპები, დაამუშავონ საკუთარი ინიციატივის ბიზნეს მოდელი, ჰქონდეთ წვდომა მენტორულ მხარდაჭერაზე და საჭირო ტექნიკურ კონსულტაციაზე.

დამოუკიდებელი ჟიური მიიღებს გადაწყვეტილებას მონაწილეების მიერ შემუშავებულ საუკეთესო სტარტ - აპების ფინანსურ მხარდაჭერაზე. ცალკეული პროექტის დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 30 000 ლარს.

პროექტის ფარგლებში ასევე გაგრძელდება სოციალური ინოვაციების პლატფორმის საგანმანათლებლო ვებ-პორტალის ([www.socialinnovation.ge](http://www.socialinnovation.ge)) განვითარება და სოციალური ინოვაციების იდეის პოპულარიზაცია. სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნით ასევე განხორციელდება ახალგაზრდების განათლებაზე მიმართული სხვადასხვა ღონისძიებები.



<https://socialinnovation.ge/> აერთიანებს და დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სოციალურ ინოვაციებთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ საგანმანათლებლო და საინფორმაციო რესურსებს. პლატფორმაზე განთავსებულია თვითმართული ონლაინ კურსები სოციალური მეწარმეობის, სოციალური საწარმოსა და სოციალური ინოვაციების შესახებ, სხვადასხვა საინტერესო სიახლეები, სტატიები, ბლოგები და ვიდეო-რგოლები.

<https://www.facebook.com/socialinnovation.ge> პლატფორმის საზოგადოებასთან საკომუნიკაციო არხია. მისი მიზანია სოციალური ინოვაციებისა და მეწარმეობის და თავად პლატფორმის საქმიანობის შესახებ დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება და სტიმულირება.

## Social Innovation Platform

Social Innovation Platform (SIP) is a initiative developed by the Center for Training and Consultancy (CTC) that aims to support development of innovative ideas focusing on social changes.



The 2023-2026 project aims to support the development of Social Innovation and Entrepreneurship with the support of the Swiss agency HEKS/EPER South Caucasus.

The project is planning to launch a social innovation and entrepreneurship acceleration program. The participants in the acceleration program will be selected through a contest.

The Social Innovation acceleration program is open to those who want to challenge social issues, who feel a sense of social responsibility, or those who have ideas for a change. In essence, an individual, a civil society organization (CSO) or a community-based organization (CBO) can be a part of SIP. All they need is a relevant idea and the willingness to develop a sustainable business model.

Training and mentoring of up to 60 participants and financial support for 10 projects are planned within the framework of the accelerator.




The first round of the accelerator program will take place in 2023, and the second round will be announced in 2024.

Participants involved in the accelerator will have the opportunity to undergo appropriate training, develop initial ideas or prototypes, develop a business model for their own initiative, and have access to mentoring support and necessary technical consulting.

An independent jury will decide on the financial support of the best start-ups developed by the participants. The maximum amount of individual project financing is 30,000 GEL.

Within the framework of the project, the development of the educational web portal of the social innovation platform (<https://socialinnovation.ge/>) and the promotion of the idea of social innovation will continue. In order to support social entrepreneurship, various measures aimed at educating young people will also be implemented.

 <https://socialinnovation.ge/> brings together and offers theoretical and practical educational and informational resources related to social innovations to interested persons. The platform features self-directed online courses on social entrepreneurship, social enterprise, and social innovation, as interesting news, articles, blogs, and videos.

<https://www.facebook.com/socialinnovation.ge> is a communication channel with the platform community. Its purpose is to inform and stimulate the interested public about social innovation and entrepreneurship and the platform's activities.

---